ოქმი №7

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მეშვიდე სხდომის

24 ივნისი 2022 წელი.

სხდომაზე საკრებულოს 39 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 29 (ოცდაცხრა) წევრმა.

(სია თან ერთვის).

ესწრებოდა: გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.
მ. შერგელაშვილი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.
ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.
ო. გველესიანი - აიპ „ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურისა და შემოქმედების ცენტრის“ ხელმძღვანელი.
ზ. აბესაძე - ზესტაფონის უ. ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები, საზოგადოების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ – ვახტანგ ღამბაშიძემ.

მან სხდომას გააცნო დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი.

პირველი - „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მეორე - ზესტაფონის მუნიციპალური უძრავი ქონების პრივატიზების ნუსხის (გეგმის) დამტკიცების შესახებ (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 133 კვ.მ. შენობა-ნაგებობით N1 ჭანტურიას ქუჩა N3-ის მიმდებარედ ს.კ. (32.10.34.762) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 202 კვ.მ. შენობა-ნაგებობით N1(ამორტიზირებული) სოფელი წევა ს.კ. (32.16.38.182).

მესამე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცხრაწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის N2 და N3 ქუჩებისათვის სახელი „იმერეთის“ მინიჭების შესახებ.

მეოთხე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მეორე სვირის ადმინისტრაციული ერთეულის N39 ქუჩისათვის „ვახტანგ აბულაძის“ სახელის მინიჭების შესახებ.

მეხუთე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტში აღმაშენებლის ქუჩაზე N12-ში არსებული სკვერისათვის ცნობილი ექიმის, ზესტაფონის საპატიო მოქალაქის აწ გარდაცვლილი ბადრი ბურჯანაძის სახელის მინიჭების შესახებ.

მეექვსე - „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა, დღის წესრიგის დასამტკიცებლად.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით დამტკიცდა დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

1. „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მომხსენებელმა ვ. ჩინჩალაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 21 ივნისის N22-2222172112 (შემ. N12-23221731-23; 22.06.22) მომართვა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტი.

დ. ფერაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე) განმარტებები მოითხოვა ორ საკითხზე: პირველი შეეხებოდა ჭის მჭრელი მანქანის ყიდვის საკითხს, ხოლო მეორე აიპ „ზესტაფონის მუნიციპალიტეტთაან არსებული კულტურისა და შემოქმედების ცენტრში" ახალგაზრდულ თეატრ-სტუდიის დაარსებისათვის ორი საშტატო ერთეულის დამატების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურის საქმიანობაზე ისაუბრა აიპ-ის ხელმძღვანელმა ბატონმა ომარ გველესიანმა და ახალგაზრდულ თეატრ-სტუდიის შექმნის იდეისა და მის წარმატებულ სამომავლო საქმიანობაზე განმარტება გააკეთა თეატრის წარმომადგენელმა ზურა აბესაძემ, ხოლო ჭის საჭრელი მანქანის შესყიდვასთან დაკავშირებით მერის პირველმა მოადგილემ გელა ჯუღელმა განმარტების უფლება მომავალი სხდომისათვის მოითხოვა.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

მომხრე: 23.

წინააღმდეგი: 6.

არ მიიღო მონაწილეობა: 0.

საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული იქნა დადგენილება.

(თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

2. ზესტაფონის მუნიციპალური უძრავი ქონების პრივატიზების ნუსხის (გეგმის) დამტკიცების შესახებ (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 133 კვ.მ. შენობა-ნაგებობით N1 ჭანტურიას ქუჩა N3-ის მიმდებარედ ს.კ. (32.10.34.762) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 202 კვ.მ. შენობა-ნაგებობითN1(ამორტიზირებული) სოფელი წევა ს.კ. (32.16.38.182).

(მომხსენებელი გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე)

მომხსენებელმა გ. ჯუღელმა (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 3 ივნისის N22-222215491 (შემ. N12-23221571-23; 06.06.22) მომართვა და „ზესტაფონის მუნიციპალური უძრავი ქონების პრივატიზების ნუსხის (გეგმის) დამტკიცების შესახებ (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 133 კვ.მ. შენობა-ნაგებობით N1 ჭანტურიას ქუჩა N3-ის მიმდებარედ ს.კ. (32.10.34.762) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 202 კვ.მ. შენობა-ნაგებობითN1(ამორტიზირებული) სოფელი წევა ს.კ. (32.16.38.182)" განკარგულების პროექტი.

საკითხი წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. მომხსენებელმა უპასუხა საკრებულოს წევრების მ. კახნიაშვილისა და დ. ფერაძის მიერ საკითხის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

მომხრე: 23.

წინააღმდეგი: 6.

არ მიიღო მონაწილეობა: 0.

საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული იქნა განკარგულება.

(თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცხრაწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის N2 და N3 ქუჩებისათვის სახელი „იმერეთის“ მინიჭების შესახებ.

(მომხსენებელი ი. ფუტკარაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა ი. ფუტკარაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 31 მაისის N22-2222151117 (შემ. N12-23221521-23; 01.06.22) მომართვა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცხრაწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის N2 და N3 ქუჩებისათვის სახელი „იმერეთის“ მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით მიღებული იქნა განკარგულება.

(თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

4. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მეორე სვირის ადმინისტრაციული ერთეულის N39 ქუჩისათვის „ვახტანგ აბულაძის“ სახელის მინიჭების შესახებ.

(მომხსენებელი ი. ფუტკარაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა ი. ფუტკარაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 30 მაისის N22-2222150141 (შემ. N12-23221511-23; 31.05.22) მომართვა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მეორე სვირის ადმინისტრაციული ერთეულის N39 ქუჩისათვის „ვახტანგ აბულაძის“ სახელის მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით მიღებული იქნა განკარგულება.

(თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

5. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში აღმაშენებლის ქუჩაზე N12-ში არსებული სკვერისათვის ცნობილი ექიმის, ზესტაფონის საპატიო მოქალაქის აწ გარდაცვლილი ბადრი ბურჯანაძის სახელის მინიჭების შესახებ.

(მომხსენებელი ი. ფუტკარაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მომხსენებელმა ი. ფუტკარაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 22 ივნისის N22-222217365 (შემ. N12-23221733-23; 22.06.22) მომართვა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტში აღმაშენებლის ქუჩაზე N12-ში არსებული სკვერისათვის ცნობილი ექიმის, ზესტაფონის საპატიო მოქალაქის აწ გარდაცვლილი ბადრი ბურჯანაძის სახელის მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

ო. მაღლაკელიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი) აღნიშნა, რომ მიესალმება ღირსეული ადამიანების სახელის მინიჭების საკითხს და მიზანშეწონილად მიაჩნია, აწ გარდაცვლილ ილია კოკაიას სახელი, რომელსაც დიდი როლი მიუძღვის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო განვითარების საქმეში, მიენიჭოს რომელიმე ქუჩის ნაწილს.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) განუმარტა, რომ საჭიროა დაცული იქნას პროცესუალური ნორმები. კერძოდ, აღნიშნული საკითხი შემოტანილი იქნას აღმასრულებელ ხელისუფლებაში საინიციატივო ჯგუფის მიერ, შესაბამისი დასაბუთებით და დოკუმენტაციით. ამის შემდეგ მოხდება ჩვენს მიერ განხილვა და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება.

ლ. ჭანტურიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი) აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიიჩნევს უფრო მეტი საჯაროობისთვის საკრებულოს სხდომების ჩაწერის

მსვლელობა განხორციელდეს პირდაპირი ჩართვით, რაზეც განემარტა, რომ აღნიშნული საკითხი განხილული იქნება და მიღებული სათანადო გადაწყვეტილება.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით მიღებული იქნა განკარგულება.

(თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

6. „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ.

(მომხსენებელი მ. შერგელაშვილი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე)

მომხსენებელმა მ. შერგელაშვილმა (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 24 ივნისის N22-222217510 (შემ. N12-23221751-23; 24.06.22) მომართვა და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიული საჯარო მოხელეების, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ" დადგენილების პროექტი.

დ. ფერაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე) მერიის სოციალური დაცვის სამსახურში ორი საშტატო ერთეულის დამატებასთან დაკავშირებით მოითხოვა განმარტება, რა სამუშაოს შესრულება დასჭირდებოდა აღნიშნულ შტატზე დასაქმებულ პირებს. მომხსენებლიდან მიღებული განმარტების შესაბამისად განაცხადა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია იურიდიულად შეფასდეს დეპუტატის მიერ შუამდგომლობებზე არსებული ხელმოწერები და დადგინდეს საბოლოოდ ამ მოქმედების სამართლიანობა. ამასთან მოითხოვა მუნიციპალიტეტის მერის ვასილ გველესიანისა და მერის მოადგილის გელა ჯუღელის მიერ საკრებულოს სხდომაზე ანგარიშის წარმოდგენა გაწეული მუშაობის შესახებ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მოთხოვნების შესაბამისად.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით მიღებული იქნა დადგენილება.

(თან ერთვის).

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ვახტანგ ღამბაშიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის სპეციალისტი **რუსუდან გველესიანი**